ფოიერი

№4

2020 წელი

ყველაზე მეშვიდე ლიტერატურული ჟურნალი ბავშვებისათვის

შოკოლიტ-სარჩევი:

ლიცა-ფულუკო
ირმა მაღაციძე 1

6 წიკო-მიკოს 1000
წიკო-ვაკო
მარიამ ნიკოლაური

ჩხირკედელა
ელა ცუცქირიძე 20

12 სალაკვაშვილ ყელინარია
ვასო გულეული

17 იყო ღა არა
იყო რა...
გივი ბოლვინაძე

16 ჩივილინო
ნინო სალოსელაშვილი

ვინ ვინ ღა ვიყო...
ნათია ჯანაშია 22

18 ბიბ-ფიტ-თეკა
გიორგი კეკელიძე

ვაესტრო
მი-სი-ლო-რე
ლათო ალთუნაშვილი 24

26 კინო-ვაკი
მარი გახელაძე

28 მაკარონი
მაკა ლოკონელი

კოკლოზინა ლექსები

მარიამ წიკლაური

ბებო მარმელადი

იყო ბებო მარმელადი,
ტკბილი, რბილი, ყოჩაღი.
ბევრი შვილიშვილი ჰყავდა,
ჰქონდა დიდი ოჯახი.

დიდი ქვაბით ადუღებდა
ტკბილ სიროფს და კენკრის წვენს,
ახალ-ახალ ხილსა კრეფდა
განა დაბეჟილს და ძველს?!

პაპა ზურგით უზიდავდა
შაქარს, ჟელეს, ვანილს, წყალს.
ცეცხლზე ქვაბი თუხთუხებდა,
ვერ უზამდი იმ ქვაბს ძვრას.

ცელქ შვილიშვილ ჟელიბონებს
უყვებოდა ზღაპრებსაც,
ასწავლიდა ლექსებს. განა
მარტო წვენებს ასმევდა?!

არიგებდა: სხვა კანფეტებს
მოპყრობოდნენ კეთილად,
ბავშვებისთვის არასოდეს
კბილები არ ეტკინათ.

ობობა ბობო

მანანა ქურდაძე

ეს ობობა, ჩვენი ბობო,
როგორ სწრაფად დაცოცავს,
გადაჭიმა ჰამაკი,
სქელი ძაფით, სამმაგით,
აბამს ოქროს არშიებს,
არაფერი აშინებს.
ნახეთ ბობო აკრობატი,
ჭერში ჭაღზე როგორ დახტის,
თამაშიც კი იცის ლახტის...
დასდევს ბებო დიდი ცოცხით,
დაიჭერს და როგორ მოსცხებს.
– გაიქეცი ბობო, მალე,
საწოლის ქვეშ დაიმალე!

ესმა ონიანი

გინდ დამიჯერეთ, გინდ არა

გინდ დამიჯერეთ, გინდ არა,
ყვავმა იყიდა გიტარა,
დაკვრა-გალობა დაიწყო?!
მთელმა იმ მხარემ გაიგო.

ბულბული ისე გაკვირდა,
დაიჩხავლა და გაფრინდა,
გინდ დამიჯერეთ, გინდ არა,
მე მეტი არა მინდა რა.

ილუსტრაცია ივეცა ჩხიკვაძე

ნილოსის ჭვინტეტი

ალეკო ცქიტიშვილი

ეძინებათ ნიანგებს,
უკვე ჭამეს მაწონი,
მაგრამ ვეღარ მიაგნეს
თავ-თავიანთ საწოლებს.

დაღებული პირებით
წვანან სანაპიროზე,
სადაც დანაპირებით
მოვა დედა – ნილოსი.

მოვა მდორედ, ჭალებში
ტალღებს მიმოატარებს,
თავის ძლიერ მკლავებში
დააძინებს პატარებს.

ნია და პატარა მურია

ლალი ლაზაშვილი

ნაწვიმარზე სოკოები ამოსულან,
ტყეში უკვე ნეშომპალას სუნია,
სოკოების მოსაკრეფად გაპარულან,
ციცქნა ნია და პატარა მურია.

აუვლიან-ჩაუვლიან ტყის ფერდობებს,
თან ხეებსაც ხტუნვა-ხტუნვით უვლიან,
გზაში წვიმა დაედევნა ამ ონავრებს
და ორივე სულ მთლად გაწუწულია.

ცირა ყურაშვილი

გამხიარულებული სახლი

ერთ სოფელში იდგა ერთი დიდი, მაგრამ სევდიანი სახლი.

სახლს თვალები – ფანჯრები სულ ჩამქრალი ჰქონდა და გზას უსინათლოსავით გაჰყურებდა. სახლის პირი – კარები დახურული იყო. აქ ღუმელი არ ინთებოდა, საკვამურში კვამლის ბოლქვები არ ტრიალებდნენ; ქვაბების, ჩაიდნების მუცლებს დავიწყნოდათ თუხთუხი, მათ თუნუქის და ემალის სახურავებს კი ხტუნვა და მალაყები. ეკალბარდს ეთქვა – აქ ისე გავმრავლდებით, მთელ ეზოს შევესევით და ცისკენ წასული ტოტებით ეზოს ყველაზე მაღალ ხეებსაც კი დავიპყრობთო. ამის გამო ცალკე სოფლის მცხოვრებნი წუხდნენ და ცალკე ამ სახლიდან ზეცაში გაფრენილი წინაპრები.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ამ სახლში ქალაქიდან ერთი დიდი გოგო დაბრუნდა.

შეუდგა შრომას და ამ შრომამ ისე გაახალისა, დასვენება ავიწყდებოდა.

– დაგვასვენე, ეხვეწებოდნენ შრომის იარაღები დიდ გოგოს, დაჯექი, ან წიგნი წაიკითხე, ან ზღაპრები დაწერე პატარებისთვის, ჩვენ თუ არ გეცოდებით, შენი თავი მაინც შეიბრალე.

– სანამ ამ სახლს და ეზო-კარს არ მოვაწესრიგებთ, დასასვენებლად სად გვცალიაო – პასუხობდა დიდი გოგო.

გავიდა ცოტა დრო და ამ სახლს თვალები გაუბრწყინდა, სულ ერთიანად გამოიცვალა, ფერადებით მოირთო, გაკაშკაშდა და გამხიარულდა.

კიდევ გავიდა დრო და ქალაქიდან მშობლებმა პატარა ბავშვები ჩამოიყვანეს ბიჭი და გოგო – ანდრია და ანასტასია. ისინი დიდი გოგოს შვილიშვილები იყვნენ.

გაიხარა სახლმა.

მაგრამ მარტო სახლმა კი არა, ეზომაც გაიხარა. მწვანე მოლი ანდრიას და ანასტასიას ფეხის ტერფებს უკოცნიდა, ხეებზე ყვავილები იშლებოდნენ და ზაფხულში პატარებისთვის დასამწიფებელ, ჩასაკბეჩ ხილზე წინასწარ ფიქრობდნენ.

მარტო სახლმა და ეზომ კი არა, კატებმაც გაიხარეს. ისინი ბავშვებს კუდში დასდევდნენ და მათთან ერთად მზეზე კოტრიალობდნენ.

მარტო სახლმა, ეზომ და კატებმა კი არა, წიწილებმაც გაიხარეს, მათ ანდრია და ანასტასია ღერღილს უყრიდნენ, თეფშზე წყალს უმატებდნენ, სამყურა

ბალახს უკრეფდნენ და ქათმების მიერ საბუდარში დადებულ თბილ კვერცხებს გაციებას არ აცლიდნენ, ისე მიარბენინებდნენ დიდ გოგოსთან.

მარტო სახლმა, ეზომ, კატებმა და წიწილებმა კი არა, ქუჩამაც გაიხარა. ანდრიას და ანასტასიას ფეხქვეშ სოფლის სუფთა ბდღვირი ადინდა, სუფთა ტალახი აიზილა. ძროხებსაც გაუხარდათ და ბავშვების დანახვაზე იფიქრეს, ჩვენს ხბოებს ეყოფათ, ახლა ამ პატარა ქალაქელებს ვუწილადოთ რძე, რომ მოფერიანდნენ და ძლიერები გაიზარდონო.

მარტო სახლმა, ეზომ, კატებმა და ქუჩამ კი არა, სოფელმაც გაიხარა. სოფელმა იფიქრა, ასე კარგი რომ ვარ, ანდრია და ანასტასიაც ჩემკენ იმიტომ გამორბიანო.

მაგრამ სახლზე, ეზოზე, კატებზე, წიწილებზე, ქუჩაზე და სოფელზე მეტად დიდ გოგოს, ამ პატარების დედის დედას გაუხარდა. ისე გაუხარდა, ხელის შეხებაც კი არ დასჭირდა თავისი შრომის იარაღებისათვის: წალდმა და წალკატმა ეკალ-ბარდი აჰკაფა, ბენზოცელმა ბალახი გადასხიპა, ხელის ხერხმა ხე უვარგისი ნაყარისგან გაასუფთავა, ბარმა ისე დაბარა, მიწის მოჭრილი ბელტები სულ ყირამალა აკოტრიალა, თოხმა ეს ბელტები დაშალა და გააფხვიერა, ნიჩაბმა ჩამოცვენილი მიწა გადაყარა.

დიდი გოგოს ფეხის ტრიალის გარეშე ამუშავდა ძველებური საკერავი მანქანა და ანასტასიას ლამაზი ქვედაბოლო შეუკერა. ბენზოხერხმა შეშა დაჭრა და ანდრიას უთხრა – აბა შეშა კოხტად დაალაგე და ღუმელიც დაანთეო. ანდრიამ თუნუქის ღუმელს შეშა მიაწოდა, ღუმელმა შეშის რამდენიმე ღერი გემრიელად გადასანსლა და კმაყოფილმა ჟანგიანი ლოყაწითელი ენით მოილოკა.

თასებმა, ქვაბებმა და თუნუქის ყალიბებმა რძე, მაწონი, ფქვილი, კვერცხი, კარაქი და შაქარი მოითხოვეს. ახტნენ, დახტნენ, ათქვიფეს... გემრიელი ნამცხვრები და ფუნთუშები გამოაცხეს და მთელ სახლში ტკბილი სურნელი დააყენეს.

ელექტრობურღმა კედელი გახვრიტა და მასში პატარების ტანსაცმლის საკიდი კაუჭი ჩაახრახნა. ელექტროქლიბმა დანებს, მაკრატლებს, ნამგლებს და ცელს პირი აულესა, ჩაქუჩმა კედელზე ყვავილების თაიგულის ლარნაკისთვის პაწია ლურსმანი მიაჭედა.

ველოსიპედმა მინდვრიდან ყვავილები მოიტანა. დიდი გოგოს კომპიუტერმა დაღლილობისგან დაამთქნარა, თვალი დახუჭა და დაიძინა.

ჩვენ ვიშრომებთ, შენ დაისვენე, წიგნები წაიკითხე და ბავშვებს ზღაპრები უამბე – უთხრეს შრომის იარაღებმა პატარების ბებოს – დიდ გოგოს. და ასეც მოიქცნენ.

დიდმა გოგომ დაღლილი იარაღები თავთავის ადგილას კოხტად დაალაგა, პატარები კალთაში ჩაისვა, ჯერ ზღაპრები უამბო, შემდეგ წიგნი გვერდზე გადადო, ბაბუაწვერას ბუმბლებისგან კოფთა მოიქსოვა, ციცინათლებისგან ლამაზი ქვედაბოლო დატანზე გადაიცვა...

– რა ლამაზი ბებო გვყავხარ! – გაუხარდა ანასტასიას.

შვილიშვილების სიხარულმა დიდი გოგოც გაახარა, პატარებს ხელი ჩასჭიდა, თვითონაც პატარა გოგოდ იქცა და მინდორში სათამაშოდ გაქროლდა.

გამარჯობა, გიორგი მასწავლებლის სახალისო გაკვეთილების მოსწავლეებო!

მე კიდევ ერთი საინტერესო მოთხრობა უნდა წარმოგიდგინოთ, რომელიც სწორედ ამ ფურცლის შემდეგ გვერდზეა და რომლის ავტორიც არის ცირა ყურაშვილი. პირველ რიგში, სათაური უნდა გითხრათ: „გამხიარულებული სახლი“. სანამ წავიკითხავთ, სათაურზე დავფიქრდეთ და რამდენიმე შეკითხვა დავსვათ მის შესახებ, რას გვეუბნება, რაზე მიგვანიშნებს იგი?

რას ნიშნავს სიტყვა „გამხიარულებული“? რით განსხვავდება სიტყვისგან „მხიარული“? ამ სიტყვით ჩვენ ვხვდებით, რომ ეს სახლი ახლა კია მხიარული, მაგრამ ადრე არ ყოფილა ასეთი. ნეტავ, სევდიანი ხომ არ იყო? რა შემთხვევაში შეიძლება სახლზე ვთქვათ, რომ ის სევდიანია?

კიდევ ერთი რამე გავაკეთოთ, სანამ ჩვენს მოთხრობას წავიკითხავთ: გადავშალოთ შემდეგ გვერდზე და ილუსტრაციას დავაკვირდეთ. მოგწონთ ეს ილუსტრაცია? ვინ არიან მასზე გამოსახულნი? სად არიან ისინი? რას აკეთებენ?

რადგან ილუსტრაცია ვახსენეთ, აქვე გთხოვთ, როდესაც ამ მოთხრობის წაკითხვას დაასრულებთ, თქვენც დახატეთ გამხიარულებული სახლის ილუსტრაცია. ხატვისას გამოიყენეთ ის დეტალები და მინიშნებები, რაც მოთხრობაშია მოცემული. ნახატი აჩვენეთ თქვენი ოჯახის წევრებს და აუხსენით, რა და როგორ დახატეთ.

კიდევ ერთი თხოვნა: წაკითხვის დროს ერთი პატარა ცხრილიც შეავსეთ, რომელშიც ჩაწერ, თუ რას ამბობენ ან რას იტყოდნენ მოთხრობის პერსონაჟები. ამ ცხრილის შესავსებ ვერსიას აქვე შემოგთავაზებ, რომელსაც ფურცელზე გადატანა დასჭირდება:

თუ ამ ცხრილს ყურადღებით შეავსებ, იგი დაგემხარება ადვილად უამბო ამ მოთხრობის შესახებ შენს საყვარელ ადამიანებსაც.

პერსონაჟი	რას იტყოდა?
1 სახლი	
2 ეზო	
3 კატები	
4 წიწილები	
5 ქუჩა	
6 ბოგელი	

გონჯაობა-ლაზარობა

გიორგი ჩიტეიშვილი

როცა სოფელში გვალვა დადგებოდა და მოსავალს საფრთხე დაემუქრებოდა, საქართველოს ყველა მხარეში წვიმის მოსაყვანი წეს-ჩვეულებას მიმართავდნენ. გონჯაობა ანუ ლაზარობა გვალვის ან წვიმის საწინააღმდეგო სავედრებელი მსვლელობა იყო და მასში ძირითადად ბავშვები მონაწილეობდნენ. მაგალითად, რაჭაში იგი ასე ტარდებოდა: ტანს ზევით გაშიშვლებულ, ნახშირით გამურულ და ზარებიან ჯოხზე შემჯდარ ბიჭს დაჰყვებოდნენ უკან სოფლის კაცები წყლიანი დოქებით, წუწავდნენ და მღეროდნენ:

გონჯა მოდგა კარებსაო,
აყვრიალებს თვალებსაო,
ღმერთო, წვიმა მოიყვანე,
მოუხდება ყანებსაო...

თან სოფელ-სოფელ დადიოდნენ, ხუმრობდნენ, გოგოებს ეცეკვებოდნენ, კვერცხებს, ყველს და სხვა სანოვაგეს აგროვებდნენ. მერე ერთად დასხდებოდნენ და ლხინს მართავდნენ.

ქართლში ლაზარობაში ქალები და ბავშვები მონაწილეობდნენ, თიხის ან ხისგან გაკეთებულ, ბავშვის ტანსაცმელში გამოწყობილ „ლაზარეს“ – ამინდის თოჯინას დაატარებდნენ და მღეროდნენ:

ახ, ლაზარე, ლაზარე,
ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა,
ცხავი აცხავებულა,
წვიმა გაჩქარებულა,
ღმერთო, მოგვეც ცის ნამი,
აღარ გვინდა მზის თვალი...

ავდარში ასე მღეროდნენ:

აღარ გვინდა ცის ნამი,
ღმერთო, მოგვეც მზის თვალი!..

ესე იგი, უნდოდათ – წვიმას მოიყვანდნენ, უნდოდათ – დარს დაიყენებდნენ. სამეგრელოში ამინდის თოჯინას ბოჭყუდიას, ძიძიკვაკვას ან ძივოეს ეძახდნენ; ქართლ-კახეთში, მესხეთ-ჯავახეთსა და აჭარაში – ლაზარეს; იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში – გონჯოს; საინგილოში – კოტიკოტიას; თუშეთში – საწვიმარ გუგას.

გიორგი კეკელიძე

მეგობრები ხვდებიან ბუმბოს

იარეს, იარეს, ხუთი ქარის მთა, ექვსი თვალჭუტია ვარსკვლავი და ხუთჯერ ექვსი კუდკანკალა ვარსკვლავი რომ გადაიარეს – თომა, თუთა, თომთე და ნიკა ლო ერთ ვეეებერთელა, იასამნისფერ ღრუბელს მიადგნენ. ღრუბელს ღობე არ ჰქონდა და როგორც უღობეო ღრუბლების წესია – არც ჭიშკარი.

– აბა, დაუძახე მასპინძლეს ნიკა ლო! – თქვა თომამ – რაც შეიძლება ხმამაღლა დაიყვირე! ეგენ ვინმე გამოჩნდეს და შეგვიპატიჟოს.

ნიკა ლოს, ფიზიკის აყალაყუდა მასწავლებელი ხომ მაღალია და, მასზე მაღალი ხმა ჰქონდა. დილაობით მთელ სოფელს აღვიძებდა ერთი ომახიანი შეძახილით – გათენდაა! გათენდااااა! – ისე გაჰყვიროდა, რომ სოფლის მაღვიძარა მამალი თანამდებობიდან გადააყენეს, ოღონდ ნიკა ლოს დაჟინებული თხოვნით, გასამრჯელო შეუნარჩუნეს გულდაწყვეტილ ამაყ მამლაყინწას.

– ჰეიიიიი! – დაიყვირა ნიკა ლომ – არის აქ ვინმეეეე?!!

ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

– ჰეეიიიი! – მიაშველა ხმა თომთემ.

ექო მაინც გაეგონათ – ღრუბელზე არავინ ჩანდა.

– კარგი – თქვა თომამ – წავიდეთ და დავზვეროთ აქაურობა. სულიერს თუ არა, ნისლის ქოხს მაინც წავაწყდებით, თორემ მთვარის სხივებს შუაღამისას ვერ გადავურჩებით. დიახ, დიახ, არ მოგესმათ – ამ ღრუბელთან მთვარე ძალიან, ძალიან ახლოს იყო და მზეზე მეტად აცხუნებდა. ბევრი იხატიალეს, მაგრამ უზარმზარი, ქაფქაფა მთების გარდა, ვერაფერს წააწყდნენ. ეჰ, რა გაეწყობოდა.

– ვერაფერს ვიზამთ, – ამოიხრა თომამ – ეს ღრუბელი ეტყობა უკაცრიელია და არც ნისლის ქოხები აუშენებია ვინმეს – სევდიანად თქვა თომთემ – მოგვიწევს, აქედან სახედაბრაწულები წავიდეთ!

– რა ცუდია! – ჩაიბურტყუნა ნიკა ლომ და თუთას გახედა. თუთა შორს იყურებოდა. თითქოს ვიღაცას თუ რაღაც ხედავსო და უცებ, ჰოი, საკვირველებავ, იასამნისფერი კლდეებიდან დიდრონთვალება ვირუკელა გამოვიდა. თვალები ხომ უზარმაზარი, მაგრამ ყურები... ყურები თვალებზე ხუთჯერ დიდი ჰქონდა. იმ ყურებზე, სასაცილოდ რომ აპარტყუნებდა, რაღაც უცნაური ნიჟარები მიემაგრებინათ. ეს ნიჟარები, აშკარად, დიდი ოსტატების გაკეთებულს ჰგავდა და სხვა ღრუბლებიდან ჩამოეტანათ – ეს არავის უთქვამს, მაგრამ გულში ერთხმად დაასკვნეს თომამ, თომთემ და ნიკა ლომ.

– ჰეეეი! – დაიყვირა თომამ – გამარჯობა, ვირუკელა!! რატომ არ მოგვესალმე?!

ვირუკელამ შეხედა თომას და თავი დახარა.

– რა საქციელია! – უკმაყოფილოდ შეუბღვირა თომთემ – ჩვენ აქ უშორესი მიწიდან მოვედით და შენ გამარჯობასაც კი გვამადლი!

– აბა, აბა! – არ ჩამორჩა ბატონი ნიკა ლო – როგორი მასპინძლობა სცოდნიათ ამ იასამნისფერ ღრუბელზე. არადა, სულ სხვა რამე ეწერა ჯადოქრების გეოგრაფიის სახელმძღვანელოში.

ვირუკელას თვალებზე ცრემლი მოადგა და თავი საცოდავად გაიქნია.

ჩვენი მოგზაურებიც აღარ აპირებდნენ ლაპარაკს. გაბრაზებულმა ზურგი აქციეს მასპინძელს და ისე ჩამოსხდნენ რბილ, მოლივლილე ქვებზე.

ვირუკელა გაშეშებული იდგა.

– რა ლამაზი ხარ! – ჩაირჩულა უცებ თუთამ. ძალიან, ძალიან ხმადაბლა.

– მეეე? – იკითხა მოულოდნელად ვირუკელამ.

– კი, შენ – ოდნავ ხმამაღლა უთხრა თუთამ.

– მადლობა! მადლობა! – წამოიძახა ვირუკელამ და ყურებით ტაში შემოჰკრა.

შეშინებული ბიჭუნები შემოტრიალდნენ.

– მე ბუმბო მქვია! – წამოიწყო ვირუკელამ – ბუმბო მქვია და საერთოდ არ მესმის, როცა მიყვირიან. საერთოდ, სულ, სულ პატარა რომ ვიყავი, როგორც ჩემმა მშობლებმა მითხრეს, არაფერი მესმოდა – მერე ეს ჯადოსნური ნიჟარა მომამაგრეს ყურზე და ახლა ყველაფერი შესანიშნავადაა. დიახ, მე ბუმბო მქვია და მხოლოდ მაშინ მესმის, როცა გარკვევით ლაპარაკობენ. გარკვევით კი მხოლოდ მაშინ ლაპარაკობენ, როცა კარგ სიტყვებს ამბობენ – გინდ ხმამაღლა, გინდ ხმადაბლა!

ბიჭუნებს ძალიან, ძალიან შერცხვათ. სახე ისე აუწითლდათ სირცხვილისგან, ხვალ მთვარის სხივები სანატრელი ექნებოდათ.

– არ იღელვოთ! – წამოიძახა მხიარულად ბუმბომ – ყველაფერი შესანიშნავადაა – ჩვენ აუცილებლად ვიმეგობრებთ! ღამდება და ახლა ზამთრის მთვარე ამოვა. ზამთრის მთვარე ყველაზე მცხუნვარეა იასამნისფერ ღრუბელზე. ამიტომაც უნდა ვიჩქაროთ. მე მიგასწავლით ნისლის ქოხებსკენ გზას.

დარცხვენილმა ბიჭუნებმა თუთას გახედეს. თუთამ ცალი წარბი ასწია, რაც თანხმობას ნიშნავდა. ბუმბო უცებ შეხტა – ერთი, ორი, სამი და და კლდეებისკენ წაკუნტრუშდა. თომა და მეგობრებიც, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, დაედევნენ. შორს, შორს, კლდეებიდან ათი ჩაფიქრების მოშორებით ნისლის ქოხის სახურავი მოჩანდა.

ნინია სადღობელაშვილი

ზოლიანი ბალიში

სესილი ერთი სიფრიფანა გოგოა და ერთი ზოლიანი ბალიში აქვს. თუ უკეთესად ვიტყვით – ჰყავს, რადგან ეს ბალიში მისთვის ისეთივე ახლობელია, როგორც წაბლისფერი ლეკვი ან ჭრელი ფისო. ლეკვზე და ფისოზე კი, არასდროს არ უნდა თქვა – აქვსო, ისინი სულიერი არსებები არიან და, თუ ვინმე სულთამცოდნეს აჩვენებ, ზოლიან ბალიშზეც იგივეს გეტყვის.

გეტყვის, რომ ის სულიერია.

ზუსტად აღარავის ახსოვს, როდის მოხვდა ის სესილის სახლში – მის დაბადებას მოჰყვა თუ მანამდეც იყო. საქმე იმაშია, რომ ის სესილიმ აღმოაჩინა, ტახტზე, საწოლებზე, ხალიჩებზე მიმოფენილ უამრავ ბალიშს და მუთაქას შორის გამოარჩია და მიიჩვია. სადაც წავა, სულ თან დააქვს, თქვენ წარმოიდგინეთ, კბილების გახეხვის დროსაც კი თან ჰყავს ატატებული, მაღაზიაში, გასართობ ცენტრში, საბავშვო ბაღში, ექიმთან თუ მენაყინესთან – ყველგან თან დაატარებს, მასთან ერთად ძილზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ხან იღლიაში ამოიჩრის, ხან გულზე სათუთად მიიხუტებს, ხან თავზე შემოიდებს, ხან უბრალოდ – გაიფენს წინ და ზედ წამოგორდება.

თავიდან ამ ამბავს დიდად არავინ აყურადებდა, მაგრამ მერე და მერე წარბი აწიეს მშობლებმა – უკვე მეტისმეტი მოსდის ჩვენს გოგოსო. იმსჯელეს და იხმაურეს და, ერთ ღამესაც, სესილის ზოლიანი ბალიში დაუმალეს.

სად აღარ ეძება სიფრიფანა სესილიმ ეს ბალიში, მაცივარშიც კი შეიხედა, ვაიდა, წეღან შოკოლადი რომ გამომქონდა, შემთხვევით იქ დამრჩაო, მაგრამ არსად იყო ბალიში.

რა ექნა, დაიძინა მის გარეშე. უფრო სწორად, ძილს შეეცადა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა – იშფოთა და იწრიალა, ხან ლოგინის ერთ კუთხეში გადაგორდა, ხან მეორეს მიაწყდა, ძირსაც კი ჩამოდგა ფეხი და საერთოდ, იატაკზე დაძინება გადაწყვიტა, მაგრამ გაახსენდა, რომ

თავისი ბალიში არ ჰყავდა და ძირს ვერაფერს დააფენდა.

მშობლებმა საძინებლის კარს ოთხივე ყური რიგრიგობით მიადეს და ასეთი ფრაზებიც გაიგონეს:

„არ მინდა სხვისი სიზმრები, არ მინდა სხვისი სიზმრები!..“ – სესილი ტიროდა ძილში. მთლად ძილშიც არა, იმ ძნელ მდგომარეობაში, რომლის სახელიც ჯერ სესილისტოლა ბავშვებმა არ იციან და რომელიც დილით თავის ტკივილით და უგუნებობით გამოიხატება.

არც მეორე დილით გამოჩნდა ზოლიანი ბალიში, მესამე ღამეც უიმისოდ გათენდა. როგორც ოდესღაც ამ სახლში გაჩნდა, ისევე უეცრად და უცნაურად გაქრა. მშობლებს იმედი მიეცათ, იქნებ ნელ-ნელა დაავიწყდეს და მშვიდად დაძინებაც შეძლოსო.

დრო გადიოდა და ეს დროც ისეთი რამეა, ყველაფერს შენ კი არ გეკითხება! მიდის, მიერეკება თავისთვის და თუ ფეხი არ აუწყვე, შეიძლება მერე გულის ამოჯდომამდე სირბილი მოგიწიოს, როგორმე რომ დაეწიო.

მიილია ზაფხული, დადგა შემოდგომა. სესილი სკოლაში წავიდა. ყვავილებით და ბუშტებით მორთულ სკოლის ეზომდე მიაცილეს მშობლებმა და დიდხანს ხელსაც უქნევდნენ, სესილი რომ კიბეზე არბოდა.

თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, დროც მიქროდა და ადამიანებიც მიჰყვებოდნენ, მაგრამ სესილის სახლში ყველამ იგრძნო, რომ რაღაც მოხდა. ეს სიფრიფანა გოგო უცებ დასერიოზულდა, ხშირად ბეზრდებოდა ყველაფერი, ხშირად იწყენდა, ხანდახან ისეთ დიდურ რამეებს ამბობდა, მშობლებს გული უსკდებოდათ, ასე მაგალითად: „ადამიანი საიდუმლოს გარეშე ფუღურაა“, ან „რაში ჭირდებათ თეთრ დათვებს დემოკრატია?“ ცდილობდნენ, გაეხალისებინათ, დაჰყავდათ წვეულებებზე, თეატრში და კინოშიც, მაგრამ სესილიმ თითქოს გზა შეიცვალა – სადღაც იქით გადაუხვია, სადაც მათი ადგილი აღარ იყო.

ერთ დღესაც კი, გაზაფხულის სიომ სესილის ოთახის ფანჯარაში თოვლივით თეთრი, პრიალა და სესილის თვალებივით გრძლად გაზიდული ბუმბული შემოაფრინა. გოგონა, როგორც წესი, მარტო იყო და წიგნს კითხულობდა. ბუმბული პირდაპირ გადაშლილ წიგნზე დაეცა და სესილიმ მაშინვე იცნო თავისი ზოლიანი ბალიშის სუნი! აიტაცა ეს ბუმბული და მისი გამჭვირვალე, აბრეშუმივით ნაზი ღეროდან გახედა გარემოს:

ოთახს, აივანს, ქუჩას, ქალაქს, ტყეებს და ოკეანეებს, მერე მთელ დედამიწას გადმოხედა ზემოდან და პლანეტებს შორისაც ეყო ჰაერი, ეს სიფრიფანა ბუმბული ისეთი ღონიერი და უხვჰაერიანი აღმოჩნდა! ადამიანებიც კი სულ სხვანაირები ჩანდნენ, უფრო ლამაზები და ჰაეროვნები, უფრო გაღიმებულები, ამ ღიმილ-ღიმილით უქნევდნენ ხელს ბუმბულთან ერთად მოლივლივე სესილის და ყველას რაღაც ჰქონდა სათქმელი, ყველა რაღაცას ეძახდა თუ აბარებდა.

იმ ღამით სესილიმ, როგორც იქნა, საკუთარი სიზმარიც ნახა.

შესაძლოა, ერთ დღეს თავისი ზოლიანი ბალიშიც იპოვოს. ხდება ხოლმე ასე. და ძალიან საინტერესო იქნება, ისევ მიიჩვევს თუ ვეღარ.

თქვენ როგორ ფიქრობთ?

დაბადების დღე

ნელა ხუციშვილი

ელენეს ძალიან უყვარს თავისი დაბადების დღე. ყოველ 1 ივნისს, ლამაზ ტორტზე იმდენ სანთელს უნთებენ, რამდენი წლისაც გახდა. წელს ხუთი წლის გახდა და ტორტზეც ხუთი სანთელი ჩააქრო.

მეორე დღეს, გათენდა თუ არა, ელენე საწოლიდან წამოხტა, დედასთან მივიდა და უთხრა:

– დე, დღეს აღარ არის ჩემი დაბადების დღე? მინდა, დღესაც ბევრი საჩუქარი მომიტანონ.

– არა, ელენე, ერთი წელიწადი უნდა გავიდეს და მერე. წელიწადში კი ოთხი დროა: ზაფხული, შემოდგომა, გაზაფხული და ზამთარი.

– და როდის გავა ეგ ერთი წელიწადი? რამდენი რამე ჩამოთვალე, – მოიწყინა ელენემ.



დგება ზამთარი: ე
შედარებით, ყველაზ
ძალიან თბილად ვიცვ
და ვიკეთებთ ხელთა
ოველი იძინებს. ხეებზ
ბალახი. სამაგიეროდ,
თეთრად იფარება. ბავ
და თოვლის
ამასობაში
დეკემბერი,



– ახლა ზაფხულია, ამიტომ ეზო მწვანე ბალახითაა დაფარული. და ფერადი ყვავილები ყვავის. ხილი მწიფს. ბოსტანში ყველაფერი იზრდება: საზამთრო, ნესვი, კიტრი, პომიდორი. ზაფხულში ძალიან ცხელა, ამიტომ ყველას თხელი კაბები, მაისურები და შორტები აცვია. მალე დასასვენებლად წავალთ სოფელში, იქ ტყეებია და სიგრილეა. მერე წავალთ ზღვაზე, რომ წყალში ვიცურაოთ და გავგრილდეთ. ამასობაში გავა ზაფხულის სამი თვე:

ივნისი, ივლისი და აგვისტო.

წელიწადის დროები

შემოდგომაზე დამწიფდება ყურძენი. ყურძენს დაწურავენ და თათარას მოხარშავენ. თათარაში კი ჩურჩხელებს ამოავლებენ. მალე აცივდება, ჩვენ ჩავიცვამთ ქურთუკებს და ბოტებს. ხეებს ფოთლები გაუყვითლდება და დასცვივდება. ჩიტები თბილ ქვეყნებში გაფრინდებიან. ცხოველები კი ზამთრისთვის საჭმელს აგროვებენ. ამასობაში გადის შემოდგომის სამი თვეც:

სექტემბერი, ოქტომბერი და ნოემბერი.

ს წელიწადის სხვა დროებთან
ე ცივი დროა, ამიტომ ჩვენც
ამთ, ვიხურავთ თბილ ქუდებს
თმანებს. ზამთრში ბევრი ცხ-
ე აღარც ფოთლებია და აღარც
მოდის თოვლი და ყველაფერი
ავები გუნდაობენ, ციგაობენ,
ს ბაბუას აკეთებენ.
ბ გადის ისევ სამი თვე:
იანვარი და თებერვალი.

დგება გაზაფხული. თოვლი თანდათან დნება, მიწიდან მწვანე ბალახი ამოდის, ამოდიან პირველი ყვავილებიც: იები, ენძელები, ყოჩივარდები. ჩიტები თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებიან, კვერცხებს დებენ და ბარტყებს ჩეკავენ. ხეებზე ჩნდება კვირტები და ფოთლებად და ყვავილებად იშლებიან. ახლაც წვიმს, ოღონდ ეს წვიმა შემოდგომის ცივ წვიმას არ ჰგავს. ამ წვიმაში შეგიძლია ქოლგით და ბოტებით გარეთ გახვიდე და გუბეებში იარო. ასე გადის გაზაფხულის სამი თვე:

მარტი, აპრილი და მაისი.

ისევ დგება ზაფხული.

– ესე იგი, ჩემი დაბადების დღე! – წამოიძახა გახარებულმა ელენემ.

– ჰო, ზაფხულთან ერთად დადგება შენი დაბადების დღე, – გაუღიმა დედამ, – და შენ გახდები... – ექვსი წლის და სკოლაში წავალ!– გაუხარდა ელენეს.

– ახლა ხომ მიხვდი, რამდენ ხანში იქნება შენი დაბადების დღე? ელენემ თითებზე სწრაფად გადაითვალა ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული. სულაცარ ყოფილა ბევრი, – დაიძახა და გაიქცა, ახალი, ნაჩუქარი სათამაშოებით რომ ეთამაშა.

ჯილგმკვიდოსა

ნორვეგიელი მწერლის თურბიორნ ეგნერის წიგნი „კარიუსი და ბაქტუსი“ თუ წაგიკითხავთ? წიგნის ორი მთავარი გმირი, პატარა, თვალით უხილავი არსებები, კარიუსი და ბაქტუსი ერთი ბიჭის საკბილეთში ცხოვრობენ. ბიჭს ტკბილეული უყვარს, კბილების გაწმენდა კი ეზარება. ამიტომაც კარიუსი და ბაქტუსი კბილებში უდარდელად ცხოვრობენ, დარბაზებსა და გვირაბებს აშენებენ. ერთხელაც ბიჭს გამოხრული კბილები ატკივდება და დანტისტთან მოხვდება... იმედია, თქვენ კარგად უვლით კბილებს და კარიესი და ბაქტერიები არ გაწუხებთ! ამისთვის ჯანსაღი კვების გარდა, თქვენი კბილები, ჯაგრისები და პასტები უნდა მეგობრობდნენ, ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს და ასე ესალმებოდნენ: კბილმშვიდობისა! ჯაგრისმშვიდობისა! პასტამშვიდობისა! მერე კი მხიარულად თამაშობდნენ გაწუწობანას, ხეხვობანას და ქაფობანას! თამაში ძილის წინ სჯობს, რადგან ძილში ნერწყვი ნაკლებად გამოიყოფა და კბილების ბუნებრივი გაწმენდა არ ხდება თურმე.

ჯაგრისეგისა და პასტეგის წინაპრეგი

პირველი სტომატოლოგები ეტრუსკები ყოფილან. მათ 27 საუკუნის წინ იცოდნენ ძუძუმწოვრების კბილებისაგან ხელოვნური კბილების გამოჭრა და პროთეზების დამზადება. რა თქმა უნდა, მათაც ექნებოდათ ჯაგრისები, თუმცა ამბობენ ,პირველი ჯაგრისები ჩინეთში დაამზადესო. ბამბუკის ჯოხზე საგანგებოდ გაჭრილ ნაპრალში ღორისა და მაჩვის ჯაგარის და ცხენის ძუის ჩამაგრებით. პირველი კბილის ჯაგრისი ნეილონის ხელოვნური ჯაგრულებით კი დამზადდა დაახლოებით, 80 წლის წინ. რით იხეხავდნენ კბილებს უწინ? 5000 წლის წინ ეგვიპტეში პემზის დაფქული ქვისა და ღვინის ნაერთს იყენებდნენ. ასევე გამოიყენებოდა თიხა და ნაცარი. ალბათ, როგორ ეზარებოდათ ბავშვებს ქვიშით და ნაცრით კიჭების ხეხვა? დღეს კი უამრავი გემრიელი პასტა და ულამაზესი ჯაგრისები გაქვთ. ელექტროჯაგრისებიც კი, რომლის ჯაგრულა თავისით ტრიალებს კბილებზე. კბილის ემალი ანუ მინანქარი ადამიანის ორგანიზმში ყველაზე მაგარი ქსოვილია, ძვალზეც მტკიცე. მაგრამ მას გაფრთხილება უნდა: მაგარი ნივთის, კაკლის, თხილის გატეხვა დაუშვებელია. ჩინეთში არსებობს დღესასწაული – „საკუთარი კბილების სიყვარულის დღე“, რომელსაც 20 სექტემბერს აღნიშნავენ. ჩვენც ხომ არ დაგვეარსებინა „საკბილეთის დღე“? ვეცადოთ ჩვენს კბილებში კარიუსებმა და ბაქტუსებმა გვირაბლანდიები არ გააშენონ და არ იტრაბახონ, სათაფლიის და პრომეთეს მღვიმე კი არა, თვით კრუბერის უძირო მღვიმეც არაფერია ჩვენ ღრმულებთან შედარებითო. დედამიწის ამ ბუნებრივ მღვიმეებს სპელეოლოგები სწავლობენ, კბილების მღვიმეებს კი – სტომატოლოგები.

კანონი კბილების გახეხვის შესახებ

სტომატოლოგია ძველი ბერძნული სიტყვაა. სტომა – პირს და ლოგო – ცოდნას ნიშნავს. სტომატოლოგები განა მარტო კბილებს მკურნალობენ, იგონებენ ახალ-ახალ მეთოდებს, რომ ჯანსაღი და ლამაზი კბილები გვქონდეს. სტომატოლოგიურ ცოდნას ადამიანი უძველესი დროიდან ფლობდა, მაგრამ ის ძალიან განავითარა ფრანგმა ექიმმა, პიერ ფოშარმა. მან მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში გამოიგონა ბევრი რამ და მათ შორის, ბრეკეტებიც. პირველმა დააკანონა კბილების დღეში რამდენჯერმე გახეხვა მარილიან წყალში დასველებული ზღვის ღრუბელით. მშვენიერი კანონია! თუმცა მარილიანი წყალი და ზღვის ღრუბელი სასარგებლო კბილის პასტებმა და ჯაგრისებმა ჩაანაცვლეს.

მოწყენილი იაგუნები

ახლა უკვე უამრავი სტომატოლოგიური კლინიკა და ექიმი მუშაობს ჩვენთვის. „კბილების ფერიებიც“ გამოჩდნენ და ამოღებული კიჭების ნაცვლად ბავშვებს ბალიშის ქვეშ საჩუქრებს უდებენ. ბავშვებმაც იციან, რომ კბილის ექიმთან სიარული აუცილებელია. არაფერი ეტკინებათ, თუ დროულად და ხშირად ივლიან სტომატოლოგთან. ბავშვებმა იციან, რომ ფტორიანი პასტის გამოყენება უმჯობესია, რომ კანფეტის ჭამა საჭმლის მერე მალევე სჯობს, ვიდრე დროის გასვლის შემდეგ, რადგან ნაკლებად გაუფუჭდებათ კბილები. იციან, რომ ჯაგრისებიც ხშირად უნდა გამოცვალონ. იციან, რომ მხოლოდ საკუთარი ჯაგრისის ხმარებაა დაშვებული. მხოლოდ თაგუნებმა მოიწყინეს ჩვენი სახლების სხვენებში, რადგან მათ აღარავინ უგდებს მოცვლილ კბილს შეძახილით, „თაგვო ჩემი ჭიანი კიჭი შენ, შენი ალმასა კბილი – მე“. არადა, როგორ ელიან ამ ჯადოსნური სიტყვების გაგონებას...

კეთილი დანტისტი

– დანტისტი ვარ, მეკბილე!
საკბილეთის დარაჯი!
ვინც შენ კბილებს გიფუჭებს,
ყველას, ყველას მკაცრად ვსჯი!
სულ ადვილად ვმკურნალობ
ჭიან კბილს და კარიესს,
ხან მორყეულ კიჭს ვაძრობ,
ხან ღრმულს ვავსებ ცარიელს.
როგორც ტყეში კოდალა,
ასუფთავებს ჭიან ხეს,
კაკ-კუკ! ჩხაკ-ჩხუკ! - მეც ასე
ყველა ჭიას მივაგნებ!
არ შეშინდე, არ გატკენ,
გირჩევ, როგორ მოიქცე,

კბილებმა რომ გაგიძლოს
და მალე არ მოგიცვდეს.
ჩემი ბურღის მანქანით,
ტკივილს ვერც კი გაიგებ,
კარგად დაიმახსოვრე,
რასაც დღეს დაგარიგებ:
– თუ იხეხავ ჯაგრისით,
არ აყოლებ ცხელზე ცივს,
ჭამის მერე წყალს ივლებ,
ისუფთავებ ძილის წინ.
თუ არ ყლაპავ კანფეტს და
სხვა ტკბილეულს მუჭებით,
ვეტყვი კბილებს, ამ კარგ ბავშვს
ნუღარ გაუფუჭდებით!

სურო

მაღალი ღობის უკან სურო მჭიდროდ შემოჰხვეოდა კუნელის ტანსა და ტოტებს.

ერთ მშვენიერ დღეს სურომ კუნელის კენწერომდე მიაღწია, მიხედ-მოიხედა და გზის მეორე მხარეს ღობე დაინახა.

– როგორ მინდა იქ გადავძვრე! – წამოიძახა სურომ – როდემდე უნდა ვიჯდე ერთ ადგილას, რაც არ უნდა თქვა, ის ღობე ბევრად უფრო ლამაზიცაა და მაღალიც.

მას შემდეგ შურიანმა მცენარემ საბოლოოდ დაკარგა მოსვენება. იგი თანდათან აგრძელებდა ღეროებს და დღითიდღე უახლოვდებოდა სანუკვარ მიზანს. და აი, დადგა ნანატრი წამი! კიდევ ერთხელ გაიწია სურომ, მეზობელ ღობესთან ტოტს მისწვდა და მჭიდროდ ჩაებღაუჭა მას. მოპოვებული გამარჯვების სიხარული და სიამაყე დაეუფლა.

მაგრამ საღამო ჟამს დაგვიანებული გამვლელი გამოჩნდა და როცა მოულოდნელი წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდა, სუროს მწვანე ყვავილწნული ჩამოგლიჯა და იმის გამო, რომ არავის სჭირდებოდა იქვე გზასთან თხრილში ჩააგდო.

თარგმანი ქეთევან დუმბაძის

მუხლუხო

ფოთოლზე მიკრული მუხლუხო ინტერესით ადევნებდა თვალყურს, როგორ ცეკვავდნენ და მღეროდნენ, ასკინკილათი დახტოდნენ, გასწრებაზე დარბოდნენ და როგორ ფრინავდნენ მწერები. გარშემო ყველაფერი მოძრაობდა. მას კი, საბრალოს, მხოლოდ მას არ შეეძლო არც სიმღერა, არც სირბილი და არც ფრენა. მუხლუხოს მხოლოდ ხოხვა შეეძლო და ისიც, დიდი გაჭირვებით. სანამ მუხლუხო ერთი ფოთლიდან მეორეზე გადახოხდებოდა ხოლმე, ასე ეგონა, რომ მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა.

მიუხედავად ამისა, ბედს მაინც არ უჩიოდა. არავისი შურდა, რადგან ესმოდა, რომ ყველა თავის საქმეს უნდა აკეთებდეს.

და აი, მუხლუხოსაც უნდა ესწავლა აბრეშუმის თხელი ძაფის დართვა, რათა მისგან სახლი – პარკი მოექსოვა. მუხლუხო ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, გულმოდგინედ შეუდგა მუშაობას და ზუსტად დათქმულ ვადაში თბილ პარკში გახვეული აღმოჩნდა.

– ამის მერე რაღა უნდა მოხდეს? – იკითხა თავის თავშესაფარში გამოხვეულმა ქვეყნიერებას მოწყვეტილმა მუხლუხომ.

– ყველაფერს თავისი დრო აქვს, – მოესმა პასუხად – ცოტაც მოითმინე და შენი თვალით ნახავ!

როცა მუხლუხოს გამოღვიძების დრო დადგა და გამოფხიზლდა, იგი უწინდელივით მოუქნელი მუხლუხო აღარ იყო. პარკიდან მარჯვედ გამომძვრალმა, გაოგნებულმა შენიშნა, რომ ათასფერად მოხატული ფრთები ამოსვლოდა. მან მხიარულად აიქნია ფრთები, ფოთლიდან ბუმბულივით მსუბუქად აფრინდა და ცისფერ ნისლში გაუჩინარდა.

მაკა მიქელაძე

მაკა ექიმი

აუტიზმი

გახსოვს ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპარი „მახინჯი იხვის ჭუკი?“ მაშინ, იმასაც გაიხსენებ, როგორ არ სურდათ იხვის ჭუკებს მათგან განსხვავებული ჭუკთან თამაში. ის ყველასგან გარიყული იყო. მაგრამ გავიდა დრო და მახინჯი იხვის ჭუკი მშვენიერ გედად გადაიქცა.

ეს ზღაპარი შემთხვევით არ გამახსენდა. დღეს სწორედ განსხვავებულ თანატოლებზე მსურს გიამბო.



რა არის აუტიზმი?

შენ, ალბათ, არაფერი გსმენია აუტიზმის შესახებ. ვეცდები – აგიხსნა. კარგი იქნება, თუ ყველა ადამიანს ბავშვობიდან ეცოდინება აუტიზმის შესახებ. ასე უკეთ შეძლებს განსხვავებული თანატოლის მიღებას და გაგებას. სიტყვა „აუტიზმი“ ბერძნული სიტყვისაგან «autós» წარმოსდგება და ნიშნავს „მე თვითონ“. პირველად „აუტიზმი“ 1940 წელს აღწერა პროფესორმა ლეო კანერმა. მას ახასიათებს სოციალური ურთიერთობების შემცირება, მეტყველების დარღვევა და სხვა თავისებურებები.

აუტიზმი დაავადება არ არის. ეს განსხვავებული მდგომარეობაა: აუტიზმის მქონე ბავშვებს უჭირთ სხვებთან ურთიერთობა, მეტყველება. არ თამაშობენ თანატოლებთან და ისე არ იქცევიან, როგორც სხვა ბავშვები. შესაძლოა, შენს კლასშიც სწავლობენ ისეთი ბავშვები, რომლებიც სხვებს არ გვანან. მაგრამ ამან არ უნდა დაგაფრთხოს. განსხვავებული თანატოლი ისე უნდა მიიღო, როგორც ნებისმიერი თქვენთაგანი – იმეგობრო მასთან და დაეხმარო.

თუ შენს გვერდით ცხოვრობს ან სწავლობს აუტიზმის მქონე ბავშვი, შენ აუცილებლად უნდა იცოდე, როგორ შეძლო მასთან ურთიერთობა. ეცადე, იყო მის მიმართ ყურადღებიანი. ისინი ხშირად იმეორებენ ფრაზებს სიტყვებს, რომელიც ესმით. გარდა ამისა, ხშირად საკუთარ თავზე მესამე პირში საუბრობენ. მაგალითად, ბიჭმა, სახელად ლუკა, შეიძლება თქვას: „ლუკას შია“, ან „ლუკას უნდა სათამაშო“.

ფილმები აუტიზმზე

აუტიზმის შესახებ ბევრი წიგნია დაწერელი და ბევრი ფილმი გადაღებული. კარგი იქნება, თუ მეგობრებთან და მშობლებთან ერთად ნახავ ამ ფილმებს. მაგალითად, „ტემპლ გრანდინი“, „მე მქვია კჰანი“, „ოკეანის სამოთხე“, „წვიმის კაცი“, „მუყაოს სახლი“, „ადამი“ და სხვა. თუ ფილმებს ნახავ, უფრო უკეთ მიხვდები, თუ რას გრძობენ აუტიზმის მქონე ადამიანები, რაც გაგიადვილებს მათთან ურთიერთობას.

კადრი ფილმიდან „ტემპლ გრანდინი“

აუტიზმის ლოგო

აუტიზმის სიმბოლოდ პაზლი მიიჩნება. ეს ლოგოტიპი 1962 წელს აუტიზმის მქონე ბავშვის მშობელმა, ჯერალდ ჰასონმა შეიმუშავა.

აუტიზმის მქონე გამოჩენილი ადამიანები

სპეციალისტების აზრით, მსოფლიოში გამოჩენილ ბევრ ადამიანს ჰქონდა აუტიზმი, თუმცა მაშინ ამის შესახებ არავინ იცოდა.

მაგალითად, ამერიკის ორი პრეზიდენტი – თომას ჯეფერსონი და აბრაამ ლინკონი, გენიალური კომპოზიტორი ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, ინგლისელი მწერალი ქალი ჯეინ ოსტინი, მეზღაპრე ჰანს ქრისტიან ანდერსენი, პოეტები ემილი დიკინსონი და ვირჯინია ვულფი, ცნობილი მეცნიერი მარია კიური, მხატვარი ვინსენტ ვან გოგი აუტიზმის მქონეები იყვნენ. თანამედროვე გამოჩენილ ადამიანთაგან აუტიზმი აქვთ რეჟისორ ვუდი ალენს, ინგლისელ მომღერალს, სუზენ ბოილს, ცნობილ ფეხბურთელს, მესის კი აუტიზმის ერთ-ერთი ფორმა, ასპერგერის

აუტიზმის მქონე ბავშვს კი არ მოსწონს სხვისთვის თვალებში ცქერა. ამიტომ გახსოვდეს, თუ აუტიზმის მქონე თანატოლი თვალებში არ გიყურებს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის შენზე ნაწყენია, ან არ მოსწონხარ. მას უბრალოდ არ მოსწონს თვალებში ცქერა, თუმცა შეიძლება ძალიან ყურადღებითაც გისმენდეს.

ვფიქრობ, დღეს შენ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღე აუტიზმის შესახებ. კარგი იქნება, თუ შენს მეგობრებსა და ახლობლებსაც უამბობ ამაზე. დარწმუნებული ვარ, ამის შემდეგ შენს თანატოლებს, რომლებსაც აუტიზმი აქვთ, უფრო გაგებით მოეკიდები და მიიღებ მათ ისეთს, როგორებიც არიან. ეცადე, შეხედო სამყაროს მათი თვალებით!

ვასო გულელური

სახაშვო ~~ბ~~ულინარია

ლიმონათი

რა არის ზაფხულის ცხელ დღეებში ყველაზე სასიამოვნო და სანატრელი? ნაყინთან ერთად, ცხადია... რა თქმა უნდა, არომატული და გემრიელი გამაგრილებელი სასმელი.

გამაგრილებელ სასმელზე, უპირველესად, ალბათ, ლიმონათი გაგვახსენდება. მართლაც, რა სჯობია ხილის შუშხუნა ლიმონათს.

ოღონდ, ბევრად უფრო გემრიელი და სასარგებლოა საკუთარი ხელით მომზადებული ხილის ლიმონათი. მით უფრო, რომ ზაფხულში უამრავი ხილი და კენკრაა.

თანაც, ასეთი გამაგრილებელი სასმელის მომზადებას ბევრი არაფერი უნდა - საკუთარი გემოვნებით შერჩეული ხილის გემოების ერთმანეთთან შეხამება და - ხუთიოდე წუთში გემრიელი და გამაგრილებელი სასმელიც მზად არის.

გამაგრილებელი სასმელების კიდევ ორი სახეობაა მილქშეიკი (რძიანი კოქტეილი) და სმუზი. მილქშეიკი, როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, რძისგან მზადდება. სმუზი კი ხილის ან კენკრისგან და წვენისაგან. სმუზის გაყიდვა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო, ამერიკის შეერთებულ შტატებში. სმუზი ინარჩუნებს მასში შემავალი ინგრედიენტების ვიტამინებს და გარდა იმისა, რომ გემრიელია, სასარგებლო, ჯანსაღი საკვებია.

მოდით, სამივე სახეობიდან თითო-თითოს მომზადება ვისწავლოთ. შემდეგ კი უკვე თქვენი ფანტაზიით შეგიძლიათ სხვადასხვა სახეობის გამაგრილებელი სასმელი მოამზადოთ.

ხილის ლიმონათის მოსამზადებლად გამოიყენეთ ის ხილი, რომელიც სახლში გაქვთ. თუ სოფელში ხართ, ის ხილი ან კენკრა აირჩიეთ, რომელიც ბაღში მწიფს.

მაგალითად, ატმის ლიმონათის მოსამზადებალდ გაფცქვენი 4-5 მწიფე, სურნელოვანი ატამი, დაჭერი და დააბლენდერე 4-5 კოვზ შაქრის ფხვნილთან ერთად. შემდეგ დაამატე ორი ცალი ფორთოხლის წვენი, 4 ჭიქა ცივი

წყალი და მოურიე.

თუ ფორთოხალი არ გაქვს, შეგიძლია სხვა ხილი შეუხამო ატამს – მაგალითად, ძალიან მოუხდება ნესვის არომატი. ან სულაც სხვა ხილი ან კენკრა აიღე – თუნდაც,

მოცხარი და ჟოლო, ან საზამთრო და მარწყვი. ერთი სიტყვით, შენს გემოვნებას და ფანტაზიას მიენდე.

თუ შუშხუნა ლიმონათი გინდა, წყლის ნაცვლად რომელიმე მინერალური წყალი დაამატე, ოღონდ უმჯობესია ისეთი, რომელსაც შედარებით მსუბუქი გემო აქვს.

ბოლოს ჩაყარე ჭიქაში ყინულის კუბები და დაასხი ლიმონათი.

სმუზის მოსამზდებლად იყენებენ სხვადასხვა ინგრედიენტებს – მსგავსი სახეობის ხილს ან კენკრას, წყალს ან ხილის წვენს, ყინულს, დასატკბობად ზოგჯერ უმატებენ თაფლს ან სიროფს. ინგრედიენტებს ერთდ ურევენ ბლენდერში. შეგიძლია, საკუთარი გემოვნების მიხედვით მოამზადო და გემრიელად მიირთვა.

ოქროსფერი სმუზი

ორი ცალი გარგარი, ერთი ნაჭერი ნესვი დააბლენდერე ერთ ჭიქა გარგრის ან ბანანის წვენთან ერთად. დაუმატე ყინული.

მილქშეიკის მოსამზადებლად კი რძეს და ხილს ნაყინსაც უმატებენ. ასევე, შეიძლება, დაუმატო გახეხილი შოკოლადი, სხვადასხვა სიროფი ან კარამელი.

ტერმინი „მილქშეიკი“ პირველად 1885 წელს გამოჩნდა, თუმცა ის მაშინ ალკოჰოლური სასმელი იყო და ამერიკაში პოპულარული ტკბილი სასმელის, ეგნოგის (ჩვენებურ გოგლიმოგლს წააგავს) მსგავსი იყო, ვისკის დამატებით. ელექტრონული სათქვეფების და ბლენდერის გამოგონებამ მილქშეიკიც დახვეწა და შეცვალა. ისევე, როგორც სმუზი, მილქშეიკიც გემოვნების და ფანტაზიის მიხედვით შეგიძლია მოამზადო.

ბანანის მილქშეიკი

ბლენდერში ჩაყარე დაჭრილი ბანანი, დაასხი ერთი ჭიქა რძე, დაუმატე ნაყინი (ვანილის ან ხილის, ბანანის გემოს რაც შეეხამება) და დააბლენდერე. სიტკბოსთვის შეგიძლია დაუმატო ორიოდე კოვზი თაფლი ან შესქელებული რძე. ასევე შეგიძლიათ დაამატო ცოტა დაფქული დარიჩინი და გახეხილი შოკოლადი.

ლიმონათის გუნე

ვასო გუდეური

მზე ზენიცში ავიდა,
სიცხემ დააჭირაო,
აყიყინდა ბაყაყი,
გააკეთა ყირაო.

– ახლა თუ არ გავგრილდი,
რა მიშველის, აბაო...
ლიმონათის გუბეში
გაადინა ცყაპაო.

ლელა ცუცქირიძე

ჩხირკეტელა

ფრანი

ბავშვობაში ძალიან მინდოდა, ფრანი მქონოდა. ამას წინათ, ქარიანმა დღეებმა ჩემი ბავშვობის სურვილი გამახსენა და მოდი, მე თვითონ გავაკეთებ-მეთქი, ვიფიქრე. მანამდე კი ინტერნეტში შევძვერი და ფრანზე ცოტა რამ გავიგე.

შეიძლება ითქვას, რომ ფრანი დღევანდელი ნებისმიერი საფრენი აპარატის წინაპარი, ანუ პაპის პაპის პაპის პაპის პაპა ან ბებიის ბებიის ბებიის ბებიის ბებიაა. ის ჩვ.წ.აღ-მდე გამოიგონეს ჩინეთში და მას მითიური, მფრინავი დრაკონის სახე მისცეს.

ფრანის გარეშე წარმოუდგენელი იყო ტრადიციული დღესასწაულები. ფრანს იყენებდნენ ჩინურ და მონღოლურ არმიებშიც. ფიქრობდნენ, რომ ჯარის თავზე აღმართული და ცაში მოლივლივე მრისხანე შესახედაობის დრაკონები მტერს შეაშინებდა. სწორედ ასე გაიგეს ფრანის არსებობა ევროპელებმა.

ამის შემდეგ ფრანი ყველასთვის საინტერესო საგნად იქცა. მისი გამოყენება დაიწყეს მეცნიერებმაც. მაგ. ატმოსფეროს შესწავლისთვის, სიმაღლეში ჰაერის ტემპერატურის გასაზომად, მეტეოროლოგიური დაკვირვებისთვის, ატმოსფერულ ელექტრობაზე (ჭექა-ქუხილსა თუ მეხზე) ექსპერიმენტების ჩასატარებლად. ფრანები გამოიყენეს პირველი რადიოს შექმნის დროსაც, ანტენების დიდ სიმაღლეზე ასაზიდად...

1985 წლიდან, ოქტომბრის ყოველ მეორე კვირას მსოფლიოში ფრანის დღე აღინიშნება.

ამ დღის გარდა, სხვადსხვა ქვეყნებსა თუ ქალაქებში ფრანის უამრავი ფესტივალიც იმართება.

არაფერი სჯობს ცაში მოლივლივე ნაირ-ნაირი ფრანის ყურებას!

მისი დამზადება არც ისე ადვილია, მაგრამ მოდი, ერთად ვცადოთ.

1.

2.

2. გადააჯვარედინე ხის ჩხირები. განივად – თანაბარი ზომის, სიგრძეში კი ზედა მხარე ქვედაზე პატარა უნდა იყოს.

1. ამისთვის დაგჭირდება: ფერადი ან თეთრი თაბახის ფურცელი (უფრო დიდი თუ გაქვს, უკეთესია), ქაღალდის ფერადი ნაკუწები, ქაღალდის წებოვანი ლენტი (დეკორატიული წებოვანაც შეიძლება), მაკრატელი, მყარი ძაფი, სახაზავი, ხის ორი ჩხირი (შეგიძლია, წვრილი, სწორი ტოტებიც გამოიყენო). ქაღალდის საჭრელი დანა.



3. კარგად შეკარი ჩხირები ცენტრში წებოვანი ლენტით. აქ აუცილებლად უფროსი მოიხმარე და სთხოვე, საჭრელი დანით ჩხირების ოთხივე დაბოლოება ჩაჭრას.



4. ჩაჭრილ დაბოლოებებში ჩაამაგრე ძაფი და შეკარი ფრანის კარკასი, ანუ „ჩონჩხი“, ისე, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები.

5. გადმოკეცე ქაღალდის ნაპირები (გაითვალისწინე, ის კარკასზე დაახლოებით 1სმ.-ით მეტი უნდა იყოს) და დაამაგრე ქაღალდის წებოვანი ან დეკორატიული ლენტით.

6. აიღე ძაფი ნაწყვეტი და მისი ბოლოები კარგად გამოკვანძე განივ ჩხირზე, კარკასის ცენტრის აქეთ და იქით, თანაბარ მანძილზე.

7. ამ ძაფის ბოლოს გამოაბი ის ძირითადი ძაფი. რომლითაც ფრანს ჰაერში გაუშვებ.

8. გადაკეცე ფერადი ნაკუწები სათითაოდ ისე, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები. სათითაოდ, კარგად შეკარი ისინი ძაფის ახალ ნაწყვეტზე. ძაფი უნდა იყოს მთლიანი, ნაკუწის ბანტები – ერთმანეთის მოშორებით.

9. ბანტებაცმული ძაფის ბოლო კარგად დაამაგრე ფრანის ბოლოს. შეგიძლია გამოკვანძო ხის ჩხირზეც.

10. ამოატრიალე ფრანი და მოხატე ისე, როგორც შენ გინდა. მე ასეთი მხიარული ფრანი გამომივიდა.

11. ვერ მოვითმინე, აივნიდან მოვსინჯე და მშვენივრად იფრინა.

თუმცა აივანი ფრანის მაღლა ძალიან მაღლა ასაფრენად არ გადმოგდება. ამისთვის გაშლილი სივრცეა საჭირო, სადაც გაქცევას თავისუფლად შეძლებ. ჰოდა, ქარიანი დღეა (რაც ასევე კარგია ფრანის ასაფრენად) და წავედი ახლა, ასეთი სივრცის მოსაძებნად. ისე, შეიძლება შენც იქ იყო შენი ფრანით, ვინ იცის.

კინო-მარ

მარი გახელაძე

ლუის კეროლის ცნობილი წიგნის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ იმდენი ეკრანიზაცია არსებობს, ალბათ ყველაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. ამიტომ მხოლოდ სამ ცნობილ ეკრანიზაციაზე გიამბობთ.

პირველად ლუის კეროლის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ ჯერ კიდევ 1903 წელს გადაიღეს. მაშინ, როცა კინემატოგრაფი პირველ ნაბიჯებს დგამდა. ეს შავ-თეთრი და მუნჯი ფილმი კინემატოგრაფის დაბადებიდან 8 წლის შემდეგ გადაიღო რეჟისორმა სესილი ჰეპოურტმა, რომელიც გარდა რეჟისორობისა, ფილმის ოპერატორი, პროდიუსერი, სცენარისტი და მსახიობიც კი იყო – ბაყაყის როლი შეარულა.

ფილმი 10-12 წუთი გრძელდებოდა, თუმცა დღემდე 8 წუთიანი ფრაგმენტია შემონახული. ალისას როლს ფილმში მეი კლარკი ასრულებდა. იმ დროისთვის დიდი მოვლენა იყო სპეცეფექტების გამოყენება – ალისა ხან დიდდებოდა ხან პატარავდებოდა.

უოლტ დისნეის პირველი წარმატება სწორედ ლუის კეროლის ამ ნაწარმოების ეკრანიზაციამ მოუტანა. 1923 წელს მან მუნჯი კომედია გადაიღო, რომელშიც შერწყმული იყო ჩვეულებრივი ფილმი და ანიმაცია.

ფილმი მოკლემეტრაჟიანი იყო და ნამდვილ ჰიტად იქცა. 1933 წელს დისნეიმ კვლავ გადაწყვიტა ფილმის ეკრანიზაცია და მათვარ როლში მერი პიკფორდის გადაღება სურდა. არსებობს ცნობილი ვარსკვლავის სინჯების ფოტოებიც, მაგრამ კომპანია „პარამაუნტმა“ დისნეის დაასწრო და გადაღების უფლება პირველმა მოიპოვა.

1951 წელს დისნეიმ უკვე სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი გადაიღო. იმისათვის, რომ ნახატები შეექმნათ, ფილმზე მუშაობისას, ჯერ რეალურ მოდელს ფოტოებს უღებდნენ და შემდეგ მისი მიხედვით აკეთებდნენ ილუსტრაციებს. გოგონა, რომელსაც ალისას როლისთვის ფოტოებს უღებდნენ, 10 წლის მსახიობი კეტრინ ბომონტი იყო.

ილუსტრატორები კვირაში 23-24 წამიან ანიმაციას ხატავდნენ.

უოლტ დისნეიმ ქეთრინი ფილმში „კუნძულზე შენთან ერთად“ აღმოაჩინა, სადაც

გოგონა მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. დისნეის ის ძალიან მოეწონა და მიხვდა, რომ მიაგნო თავის ალისას. სწორედ ისეთი იყო, როგორსაც ეძებდა – ქერა, ტალღოვანი თმით, ცისფერი თვალებით და ბრიტანული, მაგრამ არც ძალიან ბრიტანული აქცენტით.

2010 წელს რეჟისორმა ტიმ ბარტონმა სცენარისტ ლუნდა ვულვერტონის სცენარით გადაიღო „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, რომელშიც მსოფლიო კინოს ვარსკვლავები იღებდნენ მონაწილეობას. ჯონი დეპი შეშლილი მექუდის როლში იხილა მაყურებელმა. აგრეთვე მონაწილეობდნენ მია ვაშიკოვსკა, ენ ჰეთეუეი. ფილმში ალისა უკვე 19 წლისაა და შემთხვევით კვლავ საოცრებათა ქვეყანაში ბრუნდება. ფილმი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ 2016 წელს მისი გაგრძელება გადაიღეს. რეჟისორი ამჯერად ჯეიმს ბობინი იყო.



ნათია ჯანაშია

გამყიდველი დათუნა

დგება დილაადრიან,
ტყეს რომ სძინავს ნახევრად.
ჩუმად, ბაჯბაჯ-ბაჯბაჯით
მიდის ხილის საკრეფად.

ჭალის პირას, ბაზარში,
დახლი რომ დგას ლოდებთან,
ქორფა ხილით აავსებს,
მუშტარს დაელოდება.

ვაშლებს დააპრიალებს,
ტილოს მხარზე მოიგდებს,
ტყის წაბლსა და უნაბსა
კოხტად ააკოლიკებს.

გრამსაც არვის დააკლებს,
ცხვირწინ უდევს სასწორი,
ჯამს ხილით რომ აავსებს,
პატიოსნად აწონის.

თანაც მუდამ ღიღინებს,
სულ აქვს კარგი განწყობა,
მერე რა თუ ხანდახან
ცუდად მისდის ვაჭრობა.

ზოგჯერ სახლში მიმავალს
თავზე დააღამდება.
თითით საჩვენებელი
გამყიდველი ბრძანდება.

გიორგი მეტრეველი

მათემატიკური ხითამოცანები

ბაბუას ორი ლარი აქვს,
ბებოს – ორასი თეთრი...
ვის უფრო მეტი ფული აქვს,
ვინ უფრო სწრაფად მეტყვის?

2 ლარი

200 თეთრი

ციყვმა ციყვს უთხრა:
სოკო მაქვს, ათი ქამა და
რვა – ნიყვი.
დაფიქრდი, მოგცემ ნახევარს,
სულ რამდენი მაქვს, თუ იტყვი.
ახლა შენ მითხარ, პატარავ,
იხარებს შენი გამზრდელი:
პირველს რამდენი ჰქონია,
მეორეს შეხვდა – რამდენი?

8 + 10 = ?

ციყუნიამ ბინაზე
გააკეთა ამბარი,
შიგ ჩაყარა ორმოცი
გაკროლილი კაკალი...
დღეში ორ ცალს იღებდა
და ჰყოფნიდა საკვებად...
ორი ცალი მოპარეს
ქურდბაცაცა თაგვებმა.
აბა, ახლა მითხარით,
ვინ იქნება მართალი:
რამდენი დღე ჰქონია
ციყუნიას კაკალი?

40

2 ცალი

დათვმა თქვა:
ოთხი ბელი მყავს,
სულ ერთმანეთის ტოლები,
თითომ მოზიდა ხუთ-ხუთჯერ
ათმეტრიანი მორები,
რომელთა სიგრძე აჭარბებს
ათას მეტრს, ჩემი გონებით!..
აბა, ბავშვებო, დაფიქრდით,
და აქეთ-იქით ნუ ივლით:
ამ ცრუპენტელა დათუნამ
რამდენჯერ გვითხრა ტყუილი?

ოთხკალი

სამოცი კილო ხორბალი,
ნიკუშას მიაქვს
ვერტმფრენით...
რამდენი კილო სჭირდება,
ტვირთი რომ გახდეს
ცენტნერი?

შოკო კროსვორდი

თუ ჩვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ხარ, მაშინ ამ კროსვორდის შევსება სრულიად არ გაგიჭირდება. მთავარია, ყურადღებით წაიკითხო შეკითხვები, პასუხები ჩაწერო და ყვითელ სვეტში ჩვენი ჟურნალის სახელს მიიღებ.

horizontalurad:

1. ყველაზე სახალისო ტესტი;
2. ვინ გვაცნობს წიგნების პროგნოზს „შოკოლიტში“?
3. ბიბლიოთეკის ამბები ანუ...
4. ადგილი, სადაც ვიკრიბებით და ვკითხულობთ წიგნებს...
5. რომელი რუბრიკა გვასწავლის გემრიელობების დამზადებას?
6. წიგნები ეკრანზე...
7. ყველაფერი სიტყვებზე...
8. მაესტრო...
9. რუბრიკა, რომელიც გვაცნობს ხალხურ შემოქმედებას?
10. მოგზაური, რომელიც მსოფლიოს გვაცნობს...
11. ეკონომიკა ბავშვებისათვის, ანუ...
12. ვიქტორიას...
13. ...მასწის სახალისო გაკვეთილები.

vertikalurad:

1. ვინ გვიყვება 1000 წიკო-მაკოზე?
2. ყველაზე „ქიმიური“ რუბრიკა...
3. ჩიპოლინოს შოკოლიტელი მეგობარი...
5. ვის აქვს ყველაზე მარჯვე ხელები?
8. ექიმი...

ანუ-ციხ ინტერვიუ მწერალ

ნინო სადღობელაშვილთან

– რომელი იყო წიგნი, რომელიც პირველად წაიკითხეთ დამოუკიდებლად?

– თუ არ ვცდები, ეს იყო ჰარიეტ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“. ეს წიგნი ისეთ „მოდაში“ იყო ჩემს ბავშვობაში, რომ ბავშვები იყოფოდნენ ორ კატეგორიად: ვისაც უკვე ჰქონდა წაკითხული და ვისაც ჯერ არ წაეკითხა. მე მეორე ადგილიდან სწრაფად გადავბარგდი პირველზე და ძალიან კმაყოფილიც დავრჩი, მახსოვს, ბიძია თომა დამესიზმრა კიდეც ერთხელ.

– თქვენი საყვარელი სამი საბავშვო მწერალი.

– ასტრიდ ლინდგრენი, არჩილ სულაკაური, ჯონ რონალდ ტოლკინი.

– თქვენი საყვარელი სამი საბავშვო წიგნი.

– „პეპი გრძელიწინდა“, „სალამურას თავგადასავალი“, „ბეჭდების მბრძანებელი“.

– როდის დაწერეთ თქვენი პირველი საბავშვო წიგნი და რომელია ის?

– დაახლოებით ხუთი წლის წინ დავიწყე სათავგადასავლო რომანის წერა და ისე გამიტაცა, რომ გადავწყვიტე, სერიის სახე მიმეცა და რამდენიმე წიგნში მომეყოლა ის ამბავი, რაც თავიდანვე ჩავიფიქრე. ამ სერიას „განძის თეატრი“ ჰქვია და ორი წიგნი უკვე გამოვიდა. მესამეზე ახლა ვმუშაობ და კიდევ ორი მაქვს ჩაფიქრებული.–

– თქვენი ნაწარმოებებიდან რომელია ყველაზე საყვარელი?

– ორი წიგნი ვახსენე, აქედან მეორე – „ოქროს ხმალი“, უფრო მეტად მიყვარს, არა იმის გამო, რომ, ვთქვათ, უკეთესია, არამედ იმიტომ, რომ ის მამაჩემის ხსოვნას ეძღვნება და საერთოდ, მამაშვილობაზეა.

– როგორ იგონებთ პერსონაჟებს?

– ზოგჯერ ამბავი თვითონ მოიყოლებს ხოლმე გმირებს, ზოგჯერ კი პირიქით – ჯერ გმირი ჩნდება და მერე მისი თავგადასავალი. ხან ქუჩაში, ვინმე ბავშვისთვის გამიყოლებია თვალი და წარმომიდგენია კონკრეტული ისტორიის პერსონაჟად, ხან ჩემი ბავშვობის მოგონებებიდან ამოზიდულა რომელიმე და ისეთი ფერებით გაუნათებია ყველაფერი, გამკვირვებია კიდეც, აქამდე ეს როგორ არ დავინახე-მეთქი.

– სულ რამდენი საბავშვო წიგნი გაქვთ დაწერილი?

– ჯერჯერობით ორი წიგნი, „განძის თეატრის“ სერიიდან.

– ახალ წიგნზე თუ მუშაობთ?

– კი, მესამე წიგნს ვწერ, თუმცა ცოტა გამეწელა ეს პროცესი. ფენტეზის ჟანრში მუშაობას (ისევე, როგორც ყველა სხვა ჟანრში, თუმცა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მეტად) სხვა ატმოსფერო სჭირდება, სხვა სიხშირე, რომელიც ამ ბოლო დროს ცოტათი გამიქრა, თუმცა ვიცი, როგორც „ავსკუპდე“ ისევ იმ ტალღაზე და ისაც ვიცი, რომ ეს მალე უნდა მოხდეს.

– თქვენი ზღაპრების გმირებიდან რომელია ყველაზე კეთილი?

– ოოო, რთული კითხვაა... თვითონ ამ პერსონაჟებს თუ ჰკითხავთ, ალბათ მონადირე დროს დაგისახელებენ, ახსოვთ მისი სიკეთეები და ისაც ახსოვთ, თუ რამხელა თავგანწირვა დასჭირდა თავად დროს, ახალგაზრდობაში ჩადენილი შეცდომა რომ გამოესწორებინა და სამყაროში ისევ დაებრუნებინა წესრიგი...

– რის წაკითხვას გვირჩევთ პატარებს?

– უამრავი წიგნია, რაც უნდა წაიკითხოთ, თუმცა ახლა მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეცადეთ, ქართული საბავშვო ლიტერატურით დაიწყოთ, ქართველი ავტორების ძალიან მაგარი, საინტერესო, ფერადი და კეთილი წიგნებით. ბევრი კარგი მწერალი გვყავს და აუცილებლად იმეგობრეთ მათ სამყაროებთან!

მთავარი შოკოლიტელი: *ირმა მალაციძე*
შოკოლიტმცოდნე: *მარიამ წიკლაური*
დანარჩენი შოკოლიტელები: *ლელა ცუცქირიძე, ვასილ გულეური, რობერტ მესხი, დიანა ანფიმიადი, გივი ჩიღვინაძე, ნინო სადღობელაშვილი*
შოკ-დიზაინერი: *ნიკა ხვედელიძე*

ISSN 2587-4888

ჟურნალი გამოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და „სსიპ ქართული ლიტერატურის ეროვნული ფონდი“ მხარდაჭერით

საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი „ლიბო“
ელ-ფოსტა: jurnali.Shokoliti@gmail.com

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ქართული ლიტერატურის ეროვნული ფონდი

წიგნის ჭია-მაია

ახალი წიგნები

ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსების განახლებული გამოცემა, ნინო ჩაკვეტაძის ილუსტრაციებით.

ამ წიგნის მთავარი გმირია პოლიანა, თერთმეტი წლის ობოლი გოგონა, რომელსაც იშვიათი უნარი აქვს – ყველაფერში, რაც ირგვლივ ხდება, რაღაც სასიხარულო იპოვოს; და, რაც მთავარია, შეუძლია სხვებსაც ასწავლოს, როგორ უნდა უხაროდეთ მაშინ, როდესაც თითქოს ყველაფერი ძალიან, ძალიან ცუდადაა. პოლიანამ მთელი ქალაქი ჩააბა „სიხარულობანას“ თამაშში და ადამიანებს დიდი ხნის წინ დაკარგული სიხარულის განცდა დაუბრუნა. (მთარგმნელი ანი აბულაშვილი)



აბა, თუ მიხვდები, ვინ არიან ატუსა და მატუსა?
ყველაზე ცელქი ტყუპები, რომლებსაც თვალის დახამხამებაში შეუძლიათ ბებოს საწოლი მეკობრეების გემად აქციონ, ბალიშები – მფრინავ ხალიჩებად, ბაბუას ხელჯოხი – ცხენად, ხოლო კარადა – ციხესიმაგრედ; ასევე შეუძლიათ ბებია, ბაბუა და მათი მეგობრები ფეხბურთის სათამაშოდ აიყოლიონ, ბაბუას დაბადების დღეზე კი, ტორტის ნაცვლად, პატარა ძამიკო კოკოტო მორთონ. ონავარი ტყუპებისა და მათი საყვარელი ბებია-ბაბუას მხიარულ, კეთილ ამბებს თანამედროვე ქართველი ავტორის, ლელა ცუცქირიძის წიგნში წაიკითხავთ.



ასტრიდ ლინდგრენი მილიონობით ბავშვის უსაყვარლესი მწერალია. მთელ მსოფლიოში მას საუკეთესო საბავშვო მწერლად მიიჩნევენ. ასტრიდ ლინდგრენის წიგნების შთაგონება თავად ავტორის ბავშვობის წლებია. ლინდგრენი შვედეთში, ვიმერბის ფერმაში დაიბადა და ისეთივე ლაღი, მხიარული ბავშვობა ჰქონდა, როგორც მისი წიგნების გმირებს. (მთარგმელი თამარ მაისურაძე)

ISSN 2587-4888
ფასი 3 ლარი
9 772587 488007